

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 18 მარტის წერილი: „ბაზვი 1 ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტისთვის დასაზუსტებელი საკითხები, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დასმული კითხვების პასუხად.

N	შენიშვნა/წინადადება	რეაგირება/ პასუხისმგებელი ორგანიზაცია
1	წყლის ეკოლოგიური ხარჯი	
	<p>ბაზვი 1 ჰესის გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, „საქართველოში ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშების ოფიციალურად დამტკიცებული მეთოდოლოგია დღემდე არ არსებობს და დღემდე მოქმედ, მშენებარე და პროექტირებაში მყოფი ყველა ჰესისთვის მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა ხდება 50%-იანი უზრუნველყოფის მრავალწლიური საშუალო ხარჯის 10%-ის ოდენობით“.</p> <p>მართალია, საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკით, დერივაციული ჰესების ეკოლოგიური ხარჯი, მართლაც, მრავალწლიური საშუალო ხარჯის 10-12%-ის ოდენობით განისაზღვრება, თუმცა, ეს პრაქტიკა მაგნე და არასწორია და ამას ყველა ვიაზრებთ. არაერთი მაგალითი გვაქვს ქვეყანაში იმისა, თუ როგორ გამოიწვია სხვადასხვა სიდიდის, მათ შორის, მცირე დერივაციული ჰესების მშენებლობამ და მდინარეებში 10%-იანი ეკოლოგიური ხარჯის დატოვებამ მდინარეების ეკოსისტემების სრულიად განადგურება და არც მდინარე ბაზვისწყალი იქნება გამონაკლისი.</p> <p>გარდა ამისა, კომპანიის მხრიდან თავის იმით მართლება, რომ საქართველოში ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშების ოფიციალურად დამტკიცებული მეთოდოლოგია არ არსებობს, მსუბუქად, რომ ითქვას, სამწუხარო ფაქტით მანიპულირება და კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ხარვეზით სარგებლობის პირდაპირი გამოხატულებაა. მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ჰესის პროექტის განხორციელებისას კომპანიებს არ ავალდებულებს, ისარგებლონ ოფიციალურად დამტკიცებული მეთოდოლოგიით, თუმცა „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო“ არსებობს და ის ხარჯის შეფასების კომპლექსურ და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ მიდგომებს გვთავაზობს. ამგვარად ნებისმიერმა კომპანიამ, რომელიც საქართველოში ჰესის პროექტის განხორციელებას</p>	<p>როგორც გზშ-ს ანგარიშშია მოცემული (იხილეთ პარაგრაფი 6.7.3.1., ცხრილი 6.7.3.1.1.) ბაზვი 1 ჰესის გავლენის ზონაში გასატარებელი მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრულია საშუალო მრავალწლიური ხარჯის (2.9 მ³/წმ) 10%-ის ოდენობით, რაც რა თმა უნდა აღემატება 50%-იანი უზრუნველყოფის ხარჯის (2.7 მ³/წმ) 10%-ით განსაზღვრულ ხარჯს.</p> <p>ყველასათვის ნათელია, რომ აღნიშნული მეთოდით ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა არ ნიშნავს მდინარეში ბუნებრივი ჩამონადენის მხოლოდ 10%-ის დატოვებას, არამედ საშუალო წყლიანი წლების წყალმცირე თვეებში (სექტემბრიდან მარტის თვის ჩათვლით) მდინარეში რჩება ბუნებრივი ჩამონადენის 16-დან 37%-მდე.</p> <p>სათავე ნაგებობის გასწორში მდინარის წლიური მთლიანი ჩამონადენი არის 79,9 მლნ. მ³. ეკოლოგიური ხარჯის ჩამონადენის ოდენობა 25,4 მლნ. მ³-ია, რაც წლიური ჩამონადენის 32% შეადგენს. დერივაციის მონაკვეთზე წლიური ჩამონადენის გათვალისწინებით (9,7 მლნ. მ³) მდინარეში დატოვებული ჩამონადენის წყლის ოდენობა ჯამში 44% აღწევს.</p> <p>სადაო საკითხ არ წარმოადგენს, რომ ეკოლოგიური ხარჯის გატარების საპროექტო მონაკვეთზე, სრულად ვერ იქნება შენარჩუნებული წყლის ბიოლოგიური გარემოსათვის ბუნებრივ პირობებში არსებული საარსებო გარემო, მაგრამ ეკოლოგიური ხარჯის (0.29 მ³/წმ) და საპროექტო მონაკვეთზე არსებული შენაკადების წყლის დამატებით, შესაძლებელი იქნება გარკვეული პირობების შენარჩუნება, აქ მოზინადრე სახეობების პოპულაციებისათვის.</p>

<p>გეგმავს, მდინარის ეკოლოგიური ხარჯის შეფასებისას უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული მეთოდოლოგიით, მიუხედავად იმისა, პირდაპირ ავალდებულებს თუ არა კანონმდებლობა ამას.</p> <p>ნაცვლად იმისა ანგარიშში ნათქვამია, რომ ბაზვი 1 ჰესის მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის დადგენის პროცესში გაანალიზებული იქნა ევროპის რამდენიმე ქვეყნის მეთოდოლოგიები და მინიმალური ეკოლოგიური ხარჯების ოდენობა განისაზღვრა საპროექტო მდინარის ჰიდროლოგიური და გეომორფოლოგიური პირობების, ასევე აქ მოზინადრე ბიოლოგიური გარემოს გათვალისწინებით, ანგარიშში ხაზი იმაზეცაა გასმული, რომ მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის ოდენობით განსაზღვრული, მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი დაახლოებით იდენტურია ევროპის არაერთ ქვეყანაში(შვეიცარია, ესპანეთი, იტალია, ავსტრია და სხვა) მიღებული მეთოდიკებით გაანგარიშებული ეკოლოგიური ხარჯის. ამის მაგალითად მოყვანილია ავსტრია, სადაც მოქმედი მეთოდიკის მიხედვით, მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი განისაზღვრება მდინარი დინების სველი პერიმეტრის და მასში მოზინადრე იქთიოფაუნის სახეობებისთვის და საკმარისი წყლის დონის უზრუნველყოფის მიზნით. კიდევ ერთ მაგალითად მოცემულია შვეიცარიის მეთოდიკა, რომლის მიხედვითაც, მინიმალური ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშება ხდება Q347-ით, რაც ნაკლებია მრავალწლიური საშუალო ხარჯის 10%-ზე.</p> <p>ზემოთაღნიშნული მაგალითების განხილვის მიუხედავად, ანგარიშში არ არის წარმოდგენილი თუ რომელ კონკრეტულ მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით მოხდა მსგავსი დასკვნების გაკეთება და ეკოლოგიური ხარჯის შეფასების სხვადასხვა მეთოდებს შორის, რატომ შეირჩა მაინცდამაინც აღნიშნული მეთოდოლოგიები; ამის ნაცვლად ვკითხულობთ ძალიან ზოგად და კონტექსტიდან ამოვარდნილ მაგალითებს, რომლებიც მხოლოდ 10%-იანი გარემოსდაცვით ხარჯის „გამართლებას“ ემსახურება და მათი სანდოობაც, შესაბამისად წყაროების მითითების გარეშე, ეჭვქვეშ დგას.</p> <p>გარდა ამისა, ავსტრიის მაგალითი სულაც არ მეტყველებს 10%-იანი ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობაზე; პირიქით ის ხაზს უსვამს იმას, რომ ეკოლოგიური ხარჯი უნდა განისაზღვროს იქთიოფაუნისთვის საკმარისი წყლის დონის უზრუნველსაყოფად. რაც შეეხება შვეიცარიის მეთოდიკას,</p>	<p>რაც შეეხება, ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის მიზნით რომელიმე მეთოდოლოგიის გამოყენების საკითხს, კარგი იქნებოდა ქვეყანაში მოქმედებდეს ასეთი ნორმატიული აქტი, რაც იქნებოდა სავალდებულო ყველა დაინტერესებული პირისათვის და მოხსნიდა ამ საკითხთან დაკავშირებულ მრავალ გაუგებრობას.</p> <p>ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით შემუშავებული დოკუმენტი „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო“, როგორც დასახელებიდან ჩანს არის სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს შესაბამისი ნორმატიული აქტის მომზადება და დამტკიცება, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება კონკრეტული პროექტებისათვის ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის პროცესში. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოს მიხედვით, შემოთავაზებულია ეკოლოგიური ხარჯის დადგენის ზოგადი მიდგომები, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს ნორმატიული აქტის შემუშავება.</p> <p>როგორც N1 დანართშია მოცემული, ბაზვი 1 ჰესის ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის პროცესში შესაძლებლობის ფარგლებში გამოყენებულია „საქართველოს მდინარეების გარემოსდაცვითი ხარჯის შეფასების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო“-ში მოცემული მიდგომები, კერძოდ: შეფასებულია მდ. ბაზვისწყლის კალაპოტის გეომორფოლოგიური პირობები, საპროექტო მონაკვეთზე მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმი, მდინარის საპროექტო მონაკვეთზე წყლის ბიოლოგიური გარემოს და წყალთან დაკავშირებული ხმელეთის სახეობების მდგომარეობა და დადგენილია, რომ ამ მონაკვეთზე მდინარის წყლის წყალმოხმარების ობიექტები არ არსებობს.</p> <p>ეკოლოგიური ხარჯის გატარების ზონაში მდინარე მიედინება ვიწრო V-სებურ ხეობაში, რომლის ფერდების დახრილობა შეადგენს 60-70°-ს. კალაპოტში მრავლადაა სხვადასხვა ზომის ქვები და ლოდები, რის გამოც წარმოქმნილია ჩქერები, მცირე ჩანჩქერები, აუზები, ჭორომები, შეინიშნება კალაპოტის სწორი კვეთებიც. როგორც აღინიშნა, პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მონაკვეთზე მდინარეს გააჩნია ვიწრო</p>
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

<p>გაურკვეველია, რას გულისხმობს Q347 და რატომ არის ის საშუალო ხარჯის 10%-ზე ნაკლები.</p> <p>გზშ-ის ანგარიშში, 10%-იანი ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობაზე საუბრისას, ვხვდებით ასეთ ჩანაწერსაც: „ბახვი 1 ჰესის სათავეზე ნაგებობისთვის დადგენილი ეკოლოგიური ხარჯი თითქმის მდ. ბახვისწყლის მინიმალური ხარჯების იდენტურია“. შესაძლოა, ეს მართლაც ასეა და ეკოლოგიური ხარჯის მოცულობა ბახვისწყლის მინიმალურ ხარჯებს უტოლდება, თუმცა, მინიმალური ხარჯი ყოველთვის დროებითია და მცირეწლიანობის პერიოდში მოედინება, შესაბამისად, ვერ ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას კალაპოტის ფორმისა და მდინარის ეკოსისტემის ცვლილებაზე.</p> <p>ამგვარად, არასწორია იმის თქმა, რომ ეკოლოგიური ხარჯი რომელიც მდინარის კალაპოტში მთელი წლის განმავლობაში ჩამოდის საკმარისი იქნება მდინარის ეკოსისტემების შესანარჩუნებლად, მარტო იმიტომ, რომ მინიმალური ხარჯის ტოლია.</p> <p>გარდა ამისა, როგორც ცნობილია, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიამ SLR-მა ბახვი 1 ჰესის პროექტისთვის ჩაატარა ბიომრავალფეროვნების კვლევა და შეაფასა ის ზეგავლენა, რომელიც შესაძლოა ჰესის პროექტის განხორციელებამ იქონიოს ბიომრავალფეროვნებაზე. თუმცა, გზშ-ის ანგარიშში ვერსად ვხვდებით SLR-ის კვლევის შედეგებს - უცნობია, რა რეკომენდაციები აქვს ამ კომპანიას ეკოლოგიური ხარჯის ოდენობის შეფასებასთან დაკავშირებით და რამდენად საკმარისად მიიჩნევს 10%-იან ხარჯს როგორც მდინარის, ისე მიმდებარე ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.</p>	<p>კალაპოტი რაც ხელსაყრელია კალაპოტის მართვის ღონისძიებების გატარების პირობებში ერთარხიანი დინების და წყლის ფენის საჭირო სიმაღლის შესაქმნელად.</p> <p>ეკოლოგიური ხარჯის გატარების მონაკვეთზე მდინარეს გააჩნია რამდენიმე მუდმივი შენაკადი, რომელთა საერთო ხარჯი 0.3 მ³/წმ ემატება ეკოლოგიურ ხარჯს. აღნიშნული შენაკადების არსებობა მნიშვნელოვანია იქთიოფაუნისათვის, კერძოდ: მდ. ბახვიწყალში ღვარცოფული ნაკადების მოდინების დროს, თევზი იყენებს როგორც დროებით თავშესაფარს.</p> <p>მდ. ბახვისწყლის იქთიოფაუნის მრავალჯერადი (2019, 2020 და 2021 წლები) კვლევის შედეგების მიხედვით დადგენილია, რომ მდინარე ბახვისწყალში ბინადრობს იქთიოფაუნის მხოლოდ ერთი სახეობა, საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ნაკადულის კალმახი. საველე კვლევის შედეგების მიხედვით, მდინარის საპროექტო მონაკვეთზე ფიქსირდება იქთიოფაუნის არსებობისთვის საკვები ორგანიზმების მრავალფეროვნება და სიმრავლე. ძირითადად გვხვდება საშუალო და მცირე ზომის ზოოხეობითი ინდივიდები. მოპოვებული უხერხემლოებიდან დომინანტი ჯგუფებია: ერთდღიურები (რიგი - Ephemeropteroidea Rohdendorf, 1968) და მეგაზაფხულენი (რიგი - Plecoptera Burmeister, 1839).</p> <p>ეკოლოგიური ხარჯის გატარების პირობებში საპროექტო მონაკვეთზე მობინადრე წყლის ბიოლოგიურ გარემოზე და წყალთან დაკავშირებულ სახეობებზე ნეგატიური ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ განახორციელებს ქმედით შემარბილებელ და საკომპენსაციო ღონისძიებებს, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჰესის ექსპლუატაციის პროცესში მდინარის ბუნებრივ ჩამონადენზე დაწესებული იქნება სისტემატური დაკვირვება (სათავე ნაგებობის კვეთში დამონტაჟებული იქნება ავტომატური ხარჯმზომი), ხოლო პირველი 5 წლის განმავლობაში ჩატარდება წყლის ბიოლოგიური გარემოს მონიტორინგი. კვლევის შედეგების მიხედვით მოხდება ეკოლოგიური ხარჯის საკმარისობის შეფასება
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

		<p>და საჭიროების შემთხვევაში მოხდება წყლის ხარჯის კორექტირება;</p> <ul style="list-style-type: none"> • წყლის ბიოლოგიური გარემოს საარსებო პირობების შენარჩუნების მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტის გავლენის ზონაში მოქცეულ მონაკვეთზე მდინარის კალაპოტში შენარჩუნებული იქნას წყლის საკმარისი სისქის (30-40 სმ) ფენა და სველი პერიმეტრი. ამ მიზნით, შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია მდინარის კალაპოტის მართვის ღონისძიებების გატარება, რაც გულისხმობს ყოველი წყალდიდობის შემდეგ მდინარის კალაპოტის მდგომარეობის მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში ერთარხიანი დინების უზრუნველყოფას და ჩახერგილი ადგილების ხის ნარჩენებისა და ლოდებისაგან განთავისუფლებას. სამუშაოები შესრულებული იქნება ხელით; • ჰესის სათავე ნაგებობაზე გათვალისწინებულია აუზებიანი თევზსავალის მოწყობა, რომლის ტექნიკურ მდგომარეობასა და ეფექტურობაზე დამყარებული იქნება სისტემატური კონტროლი; • წყლის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით, სათავე ნაგებობის ზედა ბიეფის და სალექარის გარეცხვის პროცესში გამრეცხი ფარების გახსნა მოხდება თანდათანობით, რომ შემცირდეს მდინარის წყალში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაციების მცისიერად მომატების რისკი. სათავე ნაგებობის რეცხვის პროცესში ქვედა ბიეფში გატარებული იქნება მდინარის ჩამონადენის სრული ხარჯი შეწონილი ნაწილაკების მაქსიმალურად განზავების მიზნით; • მდინარეში მინიმალური ხარჯების მოდინების შემთხვევაში, როცა საკმარისი წყალი არ იქნება ეკოლოგიური ხარჯის გასატარებლად და ენერგეტიკული ხარჯის ასაღებად, ჰესი დროებით შეაჩერებს მუშაობას და მდინარის სრული ხარჯი გატარებული იქნება დამბის ქვედა ბიეფში; • იქთიოფაუნაზე მიყენებული ზიანის კონპენსაციის მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება მდ. ბახვისწყლის ხელოვნური დათევზიანება, რისთვისაც მდინარეში მოხდება 8 000 ცალი ნაკადულის კალმახის ლიფსიტას ჩაშვება. დათევზიანების ვადები
--	--	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

		<p>და პირობები დაზუსტებული იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით;</p> <p>ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით წყლის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება არ იქნება შეუქცევადი და შესაძლებელი იქნება აქ მობინადრე სახეობების შენარჩუნება.</p> <p>რაც შეეხება საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიამ SLR-ის მიერ, ბაზვი 1 ჰესის პროექტის განხორციელების შემთხვევაში ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასების საკითხს, კომპანიის მოსაზრებები მოცემულია როგორც გზშ-ს ანგარიშში, ასევე ამ კომპანიის მიერ მომზადებულ ბიომრავალფეროვნების კვლევაში (იხილეთ გზშ-ს ანგარიშის დანართი N4).</p> <p>საკონსულტაციო კომპანია SLR-ის შეფასების მიხედვით, „წყალმიმღებსა და ელექტროსადგურს შორის შეიცვლება ჰიდროლოგიური რეჟიმი, მაგრამ ეკოლოგიური ხარჯი უზრუნველყოფს კავშირის მდინარის ამ მონაკვეთზე. შემოთავაზებული ეკოლოგიური ხარჯია 0.29 მ³/წმ. შეფასებულია, რომ ეს საკმარისია საპროექტო სათავე ნაგებობისა და ძალურ კვანძს შორის მოქცეული მდინარე ბაზვისწყლის ეკოლოგიური კავშირის შესანარჩუნებლად. ამგვარად, მოსალოდნელია, რომ იქ სადაც ნაკადულის კალმახი არსებობს (მხოლოდ ბაზვი 3-ის ძალური კვანძის ქვემოთ იქნა აღმოჩენილი), მისი პოპულაცია შენარჩუნდება. რაც შეეხება ისეთ საკვებს, როგორიცაა ნახევრად წყლის სახეობები (ბაყაყი) და ხმელეთის სახეობები (მცირე ზომის ძუძუმწოვრები და ხვლიკები), პროექტის შედეგად მათი რაოდენობის ცვლილება მოსალოდნელი არ არის ოპერირების ეტაპზე“. ასევე „საერთო ჯამში მიჩნეულია, რომ შემოთავაზებული ეკოლოგიური ხარჯი, 0.29 მ³/წმ, საკმარისია მდინარეში თევზის პოპულაციის არსებობისთვის“.</p>
2	ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი	
	ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზისას, ერთმანეთს უნდა შედარდეს ერთი მხრივ, პროექტისგან მიღებული სარგებელი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის, და, მეორე მხრივ, ის მიუქცევდი ზიანი, რომელსაც	პროექტის ხარჯსარგებლიანობის ანალიზის განახლებული ვერსია იხილეთ დანართში N2.

<p>პროექტის განხორციელება საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის ბიოლოგიურ გარემოზე იქონიებს.</p> <p>ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი გულისხმობს კონკრეტულ რიცხვებში გამოხატული ხარჯისა და სარგებლის ერთმანეთისთვის შედარებას. შესაბამისად აუცილებელია, რომ რიცხვით სიდიდეებში იყოს მოცემული როგორც პროექტის განხორციელებით მიღებული მთლიანი სარგებელი (პირდაპირი და არაპირდაპირი), ისე გარემოზე მიყენებული ზიანი. თუმცა, პროექტის გზშ-ის ანგარიშში საერთოდ ვერ ვხვდებით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ფულადი ოდენობის დანაკარგს უკავშირდება პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მიყენებული შეუქცევადი ზიანი და არის თუ არა ის მნიშვნელოვნად ნაკლები მიღებულ სარგებელზე.</p> <p>გარდა ამისა, ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ქვეთავში საუბარია ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე რეგიონში მოსალოდნელ სოციო-ეკონომიკურ სარგებელზეც, აქ ვხვდებით ისეთ ჰიპოთეტურ ჩანაწერებს როგორცაა: “აღსანიშნავია მაღალ ანაზღაურებადი დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა“, „როგორც მსგავსი პროექტების განხორციელების პრაქტიკა გვიჩვენებს სამშენებლო სამუშაოებზე საჭირო არაკვალიფიციური მუშახელი აყვანილი იქნება ადგილობრივი მოსახლეობიდან; “გარდა ამისა, მოხდება დამხმარე ინფრასტრუქტურის და ბიზნეს საქმიანობების განვითარება, რაც თავის მხრივ შექმნის დამატებით შემოსავლის წყაროებს და სამუშაო ადგილებს”; „ჰესის მშენებლობაზე სულ დასაქმებული იქნება 200-მდე ადამიანი, მათ შორის, მნიშვნელოვანი რაოდენობით იქნება ადგილობრივი მუშახელი, ხოლო ოპერირების ეტაპზე დასაქმებული იქნება 10-15 ადამიანი“.</p> <p>აღნიშნული ზოგადი ჩანაწერებიდან არ ჩანს, თუ რა რაოდენობის ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს პროექტის განხორციელება უშუალოდ, რეგიონს და ადგილობრივ მაცხოვრებლებს.</p> <p>ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, გაუმართლებელია ვისაუბროთ პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობაზე და რეალური ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის ჩატარების გარეშე მივიჩნიოთ დასაშვებად სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე პროექტით გამოწვეული მოსალოდნელი ზემოქმედება.</p>	
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--

3	<p>გურიის გეგმარებითი ეროვნული პარკი</p>	
	<p>გზშ-ის ანგარიშში ნათქვამია, რომ „წინასწარი მოსაზრებებით. ბახვი 1 ჰესის საპროექტო დერეფანი მოქცეული იქნება გურიის გეგმარებით ეროვნული პარკის ფარგლებში, თუმცა, ეს ფაქტი საჭიროებს დაზუსტებას, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება ეროვნული პარკისთვის კონკრეტულად შემოთავაზებული ტერიტორიის საზღვრები“. აქვე იმაზეცაა საუბარი, რომ ბახვი 1 ჰესის პროექტის განხორციელება გურიის ეროვნული პარკის პროექტისთვის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორად არ უნდა იქნეს განხილული, რადგანაც შპს „სი-სი-ი-იჩი ჰიდრო VI“ აქტიურად ითანამშრომლებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და ბუნების მსოფლიო ფონდთან (WWF) და გაითვალისწინებს ყველა იმ რეკომენდაციას, რაც დადგენილი იქნება ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესში. ანგარიშში ნახსენებია ისიც, რომ დაცული ტერიტორიების და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობა ხელს უწყობს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის განხორციელებას და სარგებლის გაზრდას კონკრეტული რეგიონის მოსახლეობისთვის.</p> <p>პირველ რიგში, ხაზგასმულია, რომ გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიის სავარაუდო საზღვრები უკვე დადგენილია და მის ფარგლებში შედის ბახვი 1 ჰესის საპროექტო ტერიტორია; იმ ფაქტით აპელირება კი, რომ საზღვრები ჯერ-ჯერობით ზუსტი არ არის, გაუმართლებელია. აუცილებელია, რომ დაცული ტერიტორიის შექმნისა და მის ფარგლებში ბახვი 1 ჰესის ტერიტორიის მოქცევის საჭიროების შესახებ მსჯელობა შესაბამის უწყებებთან მოხდეს მანამ, სანამ ჰესის პროექტის განხორციელებაზე დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა და ჰესის მშენებლობა დაიწყება; თანამშრომლობა ჰესის აშენებისა თუ ექსპლუატაციის ეტაპზე დაგვიანებული იქნება თუ დაცული ტერიტორიის შექმნის კონსერვაციული მიზნის მისაღწევად აუცილებელი ტერიტორია გურიის ეროვნული პარკის ფარგლებს გარეთ აღმოჩნდება (ჰესის და მიმდებარე ტერიტორიის დაცული ტერიტორიის ფარგლებში შესვლა თავისთავად ვეღარ მოხდება).</p> <p>აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბახვი 1 ჰესის სკოპინგის ანგარიში მიხედვით, გურიის გეგმარებითი ეროვნული პარკის საკითხზე მსჯელობა</p>	<p>გურიის ეროვნული პარკის გეგმარებით დაცულ ტერიტორიისათვის ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია მიხედვით, დაცული ტერიტორიის ფართობი დაახლოებით იქნება 30 000 ჰექტარი და დღევანდელი მონაცემებით არ არის დაზუსტებული ტერიტორიის საზღვრები. ყოველ შემთხვევაში, მოცემული ინფორმაცია არ არის გასაჯაროებული.</p> <p>ბახვი 1 ჰესის ნაგებობების შექმნის შედეგად მთლიანობაში ზემოქმედების ქვეშ მოექცევა დაახლოებით 39.05 ჰექტარი ჰაბიტატი, საიდანაც დაახლოებით 9.09 ჰექტარი პერმანენტულად დაიკარგება, ხოლო 29.96 ჰექტარი ხელმისაწვდომი იქნება მშენებლობის დასრულების შემდეგ აღდგენისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაკარგული 9,09 ჰექტარის კომპენსაციის მიზნით, ჰესის განმახორციელებელი კომპანია, იღებს ვალდებულებას მოახდინოს ტყის განაშენიანება 20 ჰექტარ ტერიტორიაზე, რომელიც შეთანხმდება ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან.</p> <p>გურიის გეგმარებითი ეროვნული პარკის ფართობთან შედარებით და ჰესის ნაგებობების ქვეშ მოქცეული ფართობი 3000 ჯერ ნაკლებია და შეადგენს გეგმარებითი ეროვნული პარკის 0.0003%-ს, რაც ძალიან მცირეა, მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა აუცილებელი იქნება გზშ-ს ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის შესრულება და მონიტორინგი.</p> <p>როგორც გზშ-ს ანგარიშშია მოცემული, ჰესის გავლენის ზონაში მოქცეულ არეალში კრიტიკული ჰაბიტატები წარმოდგენილი არ არის და ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროექტის განხორციელება რომელიმე სახეობის პოპულაციაზე შეუქცევად ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.</p> <p>ბიოლოგიურ გარემოზე გარკვეული ზემოქმედების რისკები არსებობს მშენებლობის ფაზაზე, მაგრამ დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში ზემოქმედების რისკები შემცირებული იქნება მინიმუმადე. სამუშაოების დამთავრების და</p>

<p>WWF-ოს კავკასიის ოფისის წარმომადგენლებთან გაიმართა. თუმცა, სკოპინგის ანგარიშში არაფერი იყო ნათქვამი ამ შეხვედრის შედეგების და ჰესის პროექტის განხორციელების მიმართ ორგანიზაციის პოზიციის შესახებ WWF-თან გამართულ ამ ან სხვა შეხვედრების შესახებ გზშ-ის ანგარიშში საუბარი საერთოდ არ არის. ეს ყველაფერი კი, ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ შეხვედრა ან საერთოდ არ გამართულა ან შეხვედრაზე გამოთქმული მოსაზრებები ჰესის პროექტთან დაკავშირებით არ იყო მისაღები კომპანიისთვის.</p>	<p>დაგეგმილი სარეკულტივაციო სამუშაოების გატარების შემდეგ შესაძლებელი იქნება დროებით გამოყენებული ტერიტორიების თავდაპირველ მდგომარეობასთან მიახლოებულ მდგომარეობამდე აღდგენა. გარდა ამისა გურიის რეგიონის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ძალზე მაღალია ბუნებრივი რეკულტივაციის პროცესი და სამუშაოების დამთავრებიდან 3-5 წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება ბუნებრივი ჰაბიტატების აღდგენა. აღნიშნულის გათვალისწინებით ცხოველთა სახეობების უმრავლესობა დაუბრუნდება ძველ საბინადრო ადგილებს.</p> <p>ექსპლუატაციის ფაზაზე მოსალოდნელი ზემოქმედების რისკებიდან აღსანიშნავია წყლის ბიოლოგიურ გარემოზე და წყალთან დაკავშირებულ სახეობებზე ზემოქმედება. ზემოქმედების შერბილების მიზნით, დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების და მონიტორინგის პირობებში შესაძლებელი იქნება ზემოქმედების მნიშვნელოვნად შემცირება და საფრზე არ შეექმნება რომელიმე სახეობის საარსებო გარემოს.</p> <p>როგორც გზშ-ს ანგარიშშია მოცემული, იმ შემთხვევაში თუკი მოხდება ეროვნული პარკის დაარსება, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“ აქტიურად ითანამშრომლებს ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან და ჰესის ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებს ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული რიგი საკითხების განხორციელებაში.</p> <p>ბახვი 1 - ის განმახორციელებელი კომპანია შეხვდა WWF-ის კავკასიის ოფისის წარმომადგენლებს 2021 წლის დასაწყისში, ხოლო 2021 წლის 18 მარტს, კომპანიამ ოფიციალურად მიმართა WWF-ის კავკასიის ოფისის წარმომადგენლებს წერილით, რათა გამოეთხოვა გეგმარებითი ტერიტორიის წინასწარი მონახაზი.</p> <p>ისევე, როგორც შეხვედრის დროს, წერილშიც კომპანიამ გამოთქვა თანამშრომლობის სურვილი.</p> <p>2021 წლის 19 ნოემბერს, კომპანიის მიერ მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა მოახდინეს ბიომრავალფეროვნების, მიკრო და</p>
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

		მაკროკლიმატის და კუმულაციური ზემოქმედების ანგარიშების ძირითადი დასკვნების წარდგენა, მოცემულ შეხვედრაზე მოწვეულ იქნა და დაესწრო WWF-ის კავკასიის ოფისის წარმომადგენელი.
4	ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება	
	<p>ბახმარო გამოირჩევა უნიკალური ლანდშაფტითა და ულამაზესი პანორამული ხედებით, რომლებიც სარეკრიაციო ზონის არაერთი წერტილიდან მოჩანს. ეს პანორამული ხედებია ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელიც ბახმაროს ვიზიტორთათვის გამორჩეული ღირებულებას სძენს. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია, განსაკუთრებული ყურადღება იყოს გამახვილებული ჰესის მიერ ბახმაროს უნიკალური ხედების ვიზუალური დაბინძურების საკითხებზე. ამ საკითხის მნიშვნელობას ხაზი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომაც გაუსვა. როდესაც ჰესის პროექტის სკოპინგის ეტაპზე კომპანიისაგან მოითხოვა წარმოედგინა კურორტ ბახმაროდან საპროექტო ჰესამდე რელიეფური სურათი, იმის დასადასტურებლად, რომ ჰესის ინფრასტრუქტურა ხილული არ იქნებოდა კურორტიდან. კომპანიამ ეს მოთხოვნა არ შეასრულა და კურორტ ბახმაროდან დანახული საპროექტო ტერიტორიის ნაცვლად, წარმოადგინა ჰესის საპროექტო ტერიტორიის ფოტო-მასალა.</p> <p>საპროექტო ტერიტორია მოვინახულეთ, აღმოვაჩინეთ, რომ ჰესის სათავე ნაგებობა და წყალშეგუბება ხილულია კურორტ ბახმაროს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი ადგილიდან-მზის ჩასავალი გორიდან; ეს ადგილი დამსვენებლებისა და ტურისტებისთვის ბახმაროს ერთ-ერთ გამორჩეულ ღირშესანიშნაობას სწორედ პანორამული ხედების გამო წარმოადგენს.</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენს მიერ სამინისტროსთვის გაგზავნილ შენიშვნებშიც იყო საუბარი და შესაბამისი ფოტო-სურათიც გვქონდა თანდართული, კომპანიას არც გზმ-ის ანგარიშში აქვს წარმოდგენილი სამინისტროს მიერ მოთხოვნილი ფოტო-მასალა. ანგარიშში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ „კურორტ ბახმაროს არც საკურორტო ზონის და არც სარეკრიაციო ზონის არცერთი წერტილიდან სათავე ნაგებობა და ჰესის სხვა კომუნიკაციები ხილული არ იქნება. შესაბამისად, ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე ვიზუალური ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი“; თუმცა,</p>	<p>როგორც გზმ-ს ანგარიშშია მოცემული (იხილეთ პარაგრაფი 6.11.) ბახვი 1 ჰესის სამშენებლო დერეფნები არ ხვდება მოსახლეობის და დამსვენებლების ვიზუალური თვალთახედვის არეში, კერძოდ: სათავე ნაგებობისათვის შერჩეული ტერიტორია მდებარეობს მდ. ბახვისწყლის და მდ. ბაისურასღელეს შესართავის ქვედა დინებაში დაახლოებით 200 მ-ის დაცილებით, ვიწრო ხეობაში. შესართავსა და სათავე ნაგებობას შორის მდებარეობს ბუნებრივი შემაღლება, რომელიც სათავე ნაგებობის ტერიტორიას ფარავს მხედველობის არედან. შესაბამისად კურორტ ბახმაროს არც საკურორტო ზონის და არც სარეკრიაციო ზონის არცერთი წერტილიდან სათავე ნაგებობა და ჰესის შენობა ხილული არ იქნება.</p> <p>ზოგადად, მდ. ბახვისწყლის და მდ. ბაისურასღელეს შეერთების ადგილი წარმოდგენილია ქვაბულის სახით, რაც უშუალოდ სათავე ნაგებობის ხილვადობას დისტანცირებული ტერიტორიებიდან, კერძოდ როგორც კურორტ ბახმაროდან ასევე, ე.წ. „მზის ჩასავალი გორიდან“ შეუძლებელს ხდის. მეტი თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ ე.წ. „მზის ჩასავალი გორიდან“ გადაღებულ პანორამულ და სათავე ნაგებობის ზუსტ მდებარეობაზე გადაღებულ ფოტოებს. აგრეთვე საილუსტრაციოდ მოცემულია მზის ჩასავალ გორასა და ბახვი 1 ჰესის სათავე ნაგებობის ტერიტორიას შორის მანძილი, რომელიც შეადგენს 2030 მ-ს და დონეთა შორის სხვაობა, რომელიც 400 მეტრს აღემატება. როგორც „მზის ჩასავალი გორიდან“ გადაღებულ ფოტოებში ჩანს ბახვი 1 ჰესის საპროექტო სათავე ნაგებობის ტერიტორიას ფარავს შეერთების გვერდით მდებარე მთის ფერდი, აგრეთვე მდ. ბახვისწყლის ხეობის ფერდობები, რასაც ადასტურებს ბახვი 1 ჰესის სათავე ნაგებობის განთავსების ზუსტ ლოკაციაზე/კოორდინატებზე გადაღებული ფოტოც, რომლიდანაც არც</p>

	აღნიშნული მოსაზრების დასამტკიცებლად შესაბამისი ფოტო-სურათები წარმოდგენილი არაა.	მზის ჩასვალის გორა და არც კურორტ ბახმაროს რომელიმე უბანი ხილვადი არ არის. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის დამადასტურებელი საილუსტრაციო მასალა მოცემულია დანართში N3.
--	---------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------